ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ იმის გონივრული გარანტია, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული გარანტია არის მაღალი დონის გარანტია, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ISA–ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით შეცდომებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და ჩაითვლება არსებითად, ცალ-ცალკე ან მთლიანობაში, თუ მათ გონივრული გავლენა ექნებათ მომხმარებლების მიერ ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISA–ს პრინციპების შესაბამისად აუდიტის ჩატარებისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და მთელ აუდიტს ვატარებთ პროფესიონალური სკეპტიციზმის მიდგომით. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების არსებითი შეცდომის რისკებს, იქნება ეს თაღლითობის თუ შეცდომის გამო, შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებისათვის, და მოვიპოვებთ ჩვენი აზრის დასაბუთებისათვის საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომის ვერგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულისა, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს შეთქმულებას, გაყალბებას, განზრახ გამოტოვებებს, ინფორმაციის დამახინჯებას ან კონტროლის გვერდის ავლას.

Deloitte

- ვერკვევით აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმში, რათა შევიმუშაოთ აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაფერისია ამ სიტუაციისათვის, და არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ აზრის გამოთქმის მიზნით.
- ვაფასებთ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიზანშეწონილობას და მენეჯმენტის მიერ აღრიცხული შეფასებების გონივრულობას, და მასთან დაკავშირებულ წარმოდგენებს.
- ვაკეთებთ დასკვნას, თუ რამდენად მიზანშეწონილია მენეჯმენტის მიერ უწყვეტად მოქმედი საწარმოს საფუძველზე ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენება, და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც უწყვეტად მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა , ჩვენ მოგვეთხოვება, რომ ჩვენი აუდიტორის ანგარიშში გავამახვილოთ ყურადღება ამასთან დაკავშირებულ წარმოდგენებზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან თუ ასეთი წარმოდგენები არასაკმარისია, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ემყარება იმ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც მოპოვებულია ჩვენი აუდიტის ანგარიშის თარიღისათვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება აიძულოს კომპანია, შეაჩეროს საქმიანობა, როგორც უწყვეტად მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ, თუ მთლიანობაში როგორ არის წარმოდგენილი ანგარიშგება, მისი სტრუქტურა და შინაარსი, წარმოდგენების ჩათვლით, და წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ტრანზაქციებსა და მოვლენებს ისე, რომ მიაღწიოს სამართლიან წარმოდგენას.

ჩვენ გვაქვს მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებთან კომუნიკაცია, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილ მოცულობასა და ვადებთან, და აუდიტის მნიშვნელოვან დასკვნებთან დაკავშირებით, მათ შორის შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ, რომელსაც ჩვენ გამოვავლენთ ჩვენი აუდიტის დროს.

**ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ**

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მენეჯმენტის ანგარიშის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, და ისეთი შიდა კონტროლზე, როგორსაც განსაზღვრავს მენეჯმენტი, რათა უზრუნველყოს მენეჯმენტის ანგარიშგების მომზადება, რომელშიც, თაღლითობის თუ შეცდომის გამო, არ იქნება არსებითი შეცდომები.

ჩვენ შევასრულეთ პროცედურები იმის თაობაზე, არის თუ არა მენეჯმენტის ანგარიში მომზადებული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და

Deloitte

შეიცავს თუ არა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ შევარჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები ჩვენი შეხედულებისამებრ, რომელიც, შეუზღუდავად, მოიცავს კითხვებს, დოკუმენტაციის ანალიზს და განხილვას, კომპანიის პოლიტიკის, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და მოხსენებული ინფორმაციის შედარებას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ისევე, როგორც რაოდენობრივ მაჩვენებლებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლას, შედარებას და შეჯერებას.

ჩვენი აზრით:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მენეჯმენტის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
- 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მენეჯმენტის ანგარიში შეიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას;
- მენეჯმენტის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისათვის ყველა არსებით საკითხში შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

*/ხელმოწერილია/*
სრბუი ჰაკობიან
შპს Deloitte and Touche–ის სახელით
2021 წლის 26 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ინგლისური ენის თარჯიმანი მერაბ თოფურია

შპს ჯი დი აი

## მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
## 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
*(ათას ლარში)*

| | შენიშვნა | 2020 | 2019 |
|---|---|---|---|
| შემოსავალი | 5 | 508,097 | 441,179 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 6 | (486,047) | (419,714) |
| **მთლიანი მოგება** | | **22,050** | **21 465** |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 7 | (7,142) | (5,599) |
| დისტრიბუციის ხარჯები | 8 | (4,252) | (3,584) |
| ფინანსური შემოსავალი | | 143 | 236 |
| ფინანსური ხარჯი | | (838) | (484) |
| ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან, წმინდა | | (1) | 39 |
| სხვა შემოსავლები | | 142 | 149 |
| სხვა ხარჯი | | (141) | (43) |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **9,961** | **12,179** |
| საშემოსავლო გადასახადის ხარჯი | | (2,174) | (748) |
| **წლის მთლიანი მოგება** | | **7,787** | **11,431** |
| სხვა სრული შემოსავალი | | 842 | - |
| **სულ სრული შემოსავალი წლისთვის** | | **8,629** | **11,431** |

**მენეჯმენტის სახელით:**

*/ხელმოწერილია/*
**დავით ალავიძე**
**გენერალური დირექტორი**

თბილისი, საქართველო
2021 წლის 26 აგვისტო

*/ხელმოწერილია/*
**გიორგი დევიძე**
**ფინანსური დირექტორი**

თბილისი, საქართველო
2021 წლის 26 აგვისტო

შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ინგლისური ენის თარჯიმანი მერაბ თოფურია

შპს ჯი დი აი

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიში**
**2020 წლის 31 დეკემბრისათვის**
*(ათას ლარში)*

| | შენიშვნა | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | | 3,592 | 1,254 |
| არამატერიალური აქტივები | | 89 | 10 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **3,681** | **1,264** |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | | |
| მარაგები | 9 | 22,855 | 16,611 |
| გაცემული სესხები | 10 | 2,141 | 9 |
| სავაჭრო და სხვა მისაღები დავალიანება | | 4,123 | 2,643 |
| სხვა აქტივები | | 264 | 148 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 11 | 7,842 | 3,183 |
| **სულ მოკლევადიანი აქტივები** | | **37,225** | **22,594** |
| **სულ აქტივები** | | **40,906** | **23,858** |
| **კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 207 | 207 |
| გადაფასების რეზერვი | | 822 | - |
| გაუნაწილებელი მოგება | 12 | - | 2,110 |
| **სულ კაპიტალი** | | **1,029** | **2,317** |
| **ვალდებულებები** | | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | |
| გრძელვადიანი იჯარის ვალდებულება | | 1,607 | 417 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **1,607** | **417** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| სესხები | 13 | 16,074 | 3,483 |
| მოკლევადიანი იჯარის ვალდებულება | | 426 | 108 |
| სავაჭრო და სხვა გადასახდელი ვალდებულებები | 14 | 21,680 | 17,533 |
| საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | | 90 | - |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **38,270** | **21,124** |
| **სულ ვალდებულებები** | | **39,877** | **21,541** |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **40,906** | **23,858** |

**მენეჯმენტის სახელით:**

*/ხელმოწერილია/*
**დავით ალავიძე**
**გენერალური დირექტორი**

2021 წლის 26 აგვისტო -
თბილისი, საქართველო

*/ხელმოწერილია/*
**გიორგი დევიძე**
**ფინანსური დირექტორი**

2021 წლის 26 აგვისტო
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ინგლისური ენის თარჯიმანი

მერაბ თოფურია

შპს ჯი დი აი

## კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
## 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
*(ათას ლარში)*

| | შენიშვნა | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | გადაფასების რეზერვი | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|---|---|
| **ბალანსი 2019 წლის 1 იანვრისათვის** | | **207** | **1,451** | **-** | **1,658** |
| სულ სრული შემოსავალი წლისთვის | | - | 11,431 | - | 11,431 |
| გამოცხადებული დივიდენდები | 12 | - | (3,931) | - | (3,931) |
| რეორგანიზაცია | | - | (6,841) | - | (6,841) |
| **ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის** | | **207** | **2,110** | **-** | **2,317** |
| წლის მთლიანი მოგება | | - | 7,787 | - | 7,787 |
| სხვა სრული შემოსავალი | 3 | - | - | 842 | 842 |
| გადაფასების რეზერვის გამოთავისუფლება გადაფასებული აქტივების ცვეთის გამო | | - | 20 | (20) | - |
| გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები | 12 | - | (9,917) | - | (9,917) |
| **ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის** | | **207** | **-** | **822** | **1,029** |

**მენეჯმენტის სახელით:**

*/ხელმოწერილია/*
**დავით ალავიძე**
**გენერალური დირექტორი**

2021 წლის 26 აგვისტო
თბილისი, საქართველო

*/ხელმოწერილია/*
**გიორგი დევიძე**
**ფინანსური დირექტორი**

2021 წლის 26 აგვისტო
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ინგლისური ენის თარჯიმანი მერაბ თოფურია

შპს ჯი დი აი
ფულადი ნაკადების ანგარიში
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
*(ათას ლარში)*

| | შენიშვნები | 2020 წლის 31 დეკემბერს დასრ.წელი | 2019 წლის 31 დეკემბერს დასრ.წელი |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| წლიური მოგება | | 7,787 | 11,431 |
| კორექტირება: | | | |
| საშემოსავლო გადასახადის ხარჯი | | 2,174 | 748 |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი | 7,8 | 632 | 446 |
| ზარალი მარაგების ჩამოწერის შედეგად | | 16 | 1 |
| (ზარალი)/მოგება ვალუტის კურსის ცვლილებიდან, წმინდა | | 1 | (39) |
| ფინანსური ხარჯი | | 838 | 484 |
| ფინანსური შემოსავალი | | (143) | (236) |
| **ფულადი შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე** | | **11,305** | **12,835** |
| მარაგების (გაზრდა)/შემცირება | | (6,260) | 2,464 |
| სავაჭრო და სხვა მისაღები დავალიანების ზრდა | | (1,480) | (1,081) |
| სხვა აქტივების (გაზრდა)/შემცირება | | (116) | 1,428 |
| სავაჭრო და სხვა გადასახდელების გაზრდა/(შემცირება) | | 4,417 | (6,109) |
| **ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები** | | **7,596** | **9,537** |
| გადახდილი საშემოსავლო გადასახადი | | (2,084) | (2,168) |
| გადახდილი პროცენტი | | (662) | (482) |
| მიღებული საპროცენტო სარგებელი | | 143 | 236 |
| **საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი წმინდა ფულადი სახსრები** | | **4,993** | **7,605** |
| **საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები** | | | |
| შემოსავალი გაცემული სესხებიდან | | 9 | 2,946 |
| სესხების გაცემა | | (2,141) | - |
| ერთობლივი საწარმოს შეძენა | 12 | - | (6,841) |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა | | (616) | (78) |
| შემოსავალი ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან | | 1 | 27 |
| **ინვესტიციებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | | **(2,747)** | **(3,946)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| შემოსავალი სესხებიდან | 13 | 567,831 | 443,114 |
| სესხების დაფარვა | 13 | (555,311) | (439,634) |
| იჯარის ვალდებულების დაფარვა | | (298) | (182) |
| კაპიტალის მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები | 12 | (9,917) | (4,197) |
| **დაფინანსების საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები** | | **2,305** | **(899)** |
| ფულადი სახსრებისა და ფულადი ეკვივალენტების წმინდა ზრდა | | 4,551 | 2,760 |
| *სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და ფულის ექვივალენტებზე* | | 108 | 66 |
| **ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში** | 11 | **3,183** | **357** |
| **ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს** | 11 | **7,842** | **3,183** |

**მენეჯმენტის სახელით:**

*/ხელმოწერილია/*
**დავით ალავიძე**
**გენერალური**

2021 წლის 26 აგვისტო -
თბილისი, საქართველო

*/ხელმოწერილია/*
**გიორგი დევიძე**
**დირექტორი ფინანსური დირექტორი**

2021 წლის 26 აგვისტო
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ინგლისური ენის თარჯიმანი მერაბ თოფურია

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯი დი აი ("კომპანია") არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2016 წლის 8 ივლისს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 406181616. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია თბილისი, საქართველო, მოსკოვის გამზირი 31 ბ.

კომპანია დაკავებულია ფილიპ მორისის თამბაქოს ნაწარმის გრძელვადიანი დისტრიბუციით. კომპანია ქირაობს ცხრა საწყობს სხვადასხვა რეგიონში, სუპერმარკეტებისა და მცირე სასურსათო მაღაზიების, ისევე როგორც დიდი ჰიპერმარკეტების მოსამარაგებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. 2020 წელს კომპანიამ გამოუშვა ახალი პროდუქტი - გაცხელებული თამბაქო და ასევე დაიწყო შესაბამისი მოწყობილობების და აქსესუარების გაყიდვა.

კომპანიამ გააგრძელა თავისი საქმიანობა შპს „საქართველოს სადისტრიბუციო და მარკეტინგული კომპანიის" (GDMC LLC) საერთო კონტროლის ქვეშ, რომელშიც 2016 წელს განმავლობაში მოხდა რეორგანიზაცია. 2016 წლის ოქტომბერში თამბაქოს ნაწარმზე მიკუთვნებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები შპს GDMC-მ მიჰყიდა შპს ჯი დი აის. თამბაქოს ნაწარმის მიმწოდებელთან შპს GDMC–ს მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება შეწყდა და დაიდო შპს ჯი დი აის ახალი ხელშეკრულება მიმწოდებელთან.

2019 წლის 27 ივნისს კომპანიამ შეიძინა სხვა ორგანიზაციის აქციები, რომელიც არის სასაწყობო და ლოგისტიკური ცენტრი საქართველოში, და აღიარა ის ერთობლივ საწარმოდ. 2019 წლის 15 ნოემბერს კომპანიამ მოახდინა რეორგანიზაცია და შპს ჯი დი აის გამოეყო ახალი იურიდიული პირი შპს Logistics Solutions. ერთობლივი საწარმოს ყველა წილი გადაეცა შპს Logistics Solutions–ს. გარიგების დეტალები აღწერილია შენიშვნა 12 -ში.

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია და 100% -იანი წილის მფლობელი იყო შპს Dolnay Consulants.

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის შესაბამისად იყო 287 და 210.

## 2. ახალი და შესწორებული საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გამოცემული ფასს -ის სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ. მათ მიღებას არანაირი არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ ანგარიშგებაში მოხსენებულ ინფორმაციის წარმოდგენებზე ან თანხებზე.

შპს ჯი დი აი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
*(თას ლარში)*

| | |
|---|---|
| *საპროცენტო განაკვეთის საკონტროლო ნიშნულის რეფორმის ცვლილებები IFRS 9 და IFRS 7-ში* | 2019 წლის სექტემბერში, ასსბ-მ გამოაქვეყნა საპროცენტო განაკვეთის საკონტროლო ნიშნულის რეფორმა (ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში და ფასს 7-ში). ეს ცვლილებები ცვლის ჰეჯირების აღრიცხვის კონკრეტულ მოთხოვნებს, რათა ჰეჯირების აღრიცხვა გაურკვევლობის პერიოდში გაგრძელდეს ჰეჯირების იმ ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ამან იქონია გავლენა, სანამ ჰეჯირებული ელემენტები ან ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომლებზეც გავლენას მოახდენს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის საკონტროლო ნიშნულები, შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ნიშნულების მიმდინარე რეფორმების შედეგად.<br><br>ეს ცვლილებები აქტუალური არ არის კომპანიისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ იგი არ იყენებს ჰეჯ-ბუღალტრულ აღრიცხვას თავისი საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რისკებზე. შესაბამისად, ამ ცვლილებების გამოყენება არ ახდენს გავლენას კომპანიის აღრიცხვაზე 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.<br><br>ცვლილებები ასევე ითვალისწინებს ფასს 7-ის წარმოდგენის ახალ მოთხოვნებს ჰეჯირების ურთიერთობებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან ფასს 9-ის ცვლილებებით შემოღებულ გამონაკლისებს. |
| *COVID-19– თან დაკავშირებული ქირავნობის შეღავათების* ცვლილებები ფასს 16-ში | 2020 წლის მაისში IASB-მა გამოსცა COVID-19-თან დაკავშირებული ქირავნობის შეღავათები (ცვლილება IFRS 16-ში), რომელიც პრაქტიკულ შეღავათებს აძლევს დამქირავებლებს, ქირაზე COVID-19-ის უშუალო შედეგად მიღებული შეღავათების აღრიცხვისას, ფასს 16-ში პრაქტიკული მიზანშეწონილობის დანერგვით. პრაქტიკული მიზანშეწონილობა დამქირავებელს აძლევს უფლებას თავისი არჩევანით შეაფასოს, არის თუ არა COVID-19– თან დაკავშირებული ქირის შეღავათი იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარემ, რომელიც აკეთებს ამ არჩევანს, უნდა აღრიცხოს იჯარის გადახდის ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია COVID-19–თან დაკავშირებულ ქირაზე შეღავათით ფასს 16 –ის გამოყენებით, ისე, თითქოს ეს ცვლილება არ იყოს იჯარის მოდიფიკაცია. კომპანიამ არ აირჩია COVID-19–თან დაკავშირებული ქირაზე შეღავათის მიდგომა, შეაფასა შესწორებული საიჯარო ხელშეკრულებები და დაასკვნა, რომ ისინი წარმოადგენენ მოდიფიკაციებს. |
| *ფასს-ის სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მოხსენიებების ცვლილებები.* | კომპანიამ მიიღო ცვლილებები *IFRS სტანდარტებში კონცეპტუალურ ჩარჩოში მითითებების შესწორებებში* შესული ცვლილებები პირველად მიმდინარე წელს. ცვლილებები მოიცავს შეხებულ სტანდარტებში გამომდინარე ცვლილებებს ისე, რომ ისინი ეხებოდნენ ახალ *ჩარჩოს*. თუმცა, ყველა შესწორება არ აახლებს მიმართვასა და ციტირებას *ჩარჩოზე* ისე, რომ ისინი მიმართავდნენ შესწორებულ *კონცეპტუალურ ჩარჩოს*. ზოგიერთი განცხადება განახლებულია მხოლოდ იმისათვის, რომ მიუთითოს, თუ *ჩარჩოს* რომელ ვერსიას მიმართავენ ისინი (IASC *ჩარჩო* 2001 წელს მიღებული IASB- ის მიერ, 2010 წლის IASB *ჩარჩო*, თუ 2018 წლის ახალი შესწორებული *ჩარჩო*) ან აღნიშნოს, რომ სტანდარტში მოყვანილი განსაზღვრებები არ არის განახლებული *კონცეპტუალურ ჩარჩოში* შემუშავებული ახალი განსაზღვრებებით.<br><br>შესწორებული სტანდარტებია ფასს 2, ფასს 3, ფასს 6, ფასს 14, ბასს 1, ბასს 8, ბასს 34, ბასს 37, ბასს 38, ფასსიკ 12, ფასსიკ 19, ფასსიკ 20, ფასსიკ 22, და SIC-32. |
| *ცვლილებები ფასს 3 -ში ბიზნესის განმარტება* | ცვლილებები ფასს 3 -ში კომპანიამ პირველად მიიღო მიმდინარე წელს. ცვლილებები განმარტავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესს ჩვეულებრივ აქვს შედეგები, შედეგები არ არის საჭირო იმისათვის, რომ საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირებული კომპლექტი კვალიფიცირდეს როგორც ბიზნესი. ბიზნესად რომ ჩაითვალოს, შეძენილი აქტივობები და აქტივები უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შესაყვან მონაცემებს და არსებით პროცესს, რომლებიც ერთად მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს შედეგების შექმნის შესაძლებლობას.<br>ცვლილებებით ამოღებულია შეფასება იმის შესახებ, შეუძლიათ თუ არა ბაზრის მონაწილეებს შეცვალონ ნაკლული მონაცემები ან პროცესები და განაგრძონ შედეგების შექმნა. ცვლილებებს ასევე შემოაქვთ დამატებითი მითითებები, რაც ეხმარება იმის განსაზღვრას, შეძენილია თუ არა არსებითი პროცესი.<br><br>შესწორებებს შემოაქვს კონცენტრაციის არჩევითი ტესტი, რომელიც საშუალებას იძლევა გამარტივებულად შეფასდეს, არის თუ არა ბიზნესი შეძენილი აქტივობები და აქტივები. არჩევითი კონცენტრაციის ტესტის მიხედვით, შეძენილი აქტივობები და აქტივები არ არის ბიზნესი, თუ არსებითად შეძენილი მთლიანი აქტივების |



ინგლისური ენის თარჯიმანი მერაბ თოფურია

| | |
|---|---|
| | სამართლიანი ღირებულება კონცენტრირებულია ერთ იდენტიფიცირებად აქტივში ან მსგავსი აქტივების კომპანიაში.<br>ცვლილებები ვრცელდება პერსპექტიულად ყველა ბიზნეს გაერთიანებაზე და აქტივების შეძენაზე, რომლის შესყიდვის თარიღი არის 2020 წლის 1 იანვარი ან შემდეგ. |
| *ცვლილებები ბასს 1 -ში და ბასს 8 -ში არსებითის განსაზღვრება* | კომპანიამ ცვლილებები ბასს 1 -ში და ბასს 8 -ში პირველად მიიღო მიმდინარე წელს. შესწორებები ბასს 1 -ში უფრო გასაგებს ხდის არსებითის განმარტებას და არ ემსახურება ფასს სტანდარტებში არსებითობის კონცეფციის შეცვლას. არსებითი ინფორმაციის არაარსებითი ინფორმაციით შენიღბვის კონცეფცია შეტანილია ახალი განსაზღვრების ნაწილად.<br><br>მომხმარებლებზე ზემოქმედების არსებითობის ბარიერი "შესაძლებელი გავლენისგან" შეიცვალა "გონივრულად მოსალოდნელ გავლენაზე".<br><br>ბასს 8 -ში არსებითის განმარტება შეიცვალა ბასს 1-ში არსებითის განმარტებაზე მითითებით. გარდა ამისა, IASB-მ შეცვალა სხვა სტანდარტები და *კონცეპტუალური ჩარჩო*, რომლებიც შეიცავს „არსებითის" განსაზღვრებას ან ეხება ტერმინს „არსებითი" თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად. |

**გამოშვებული, მაგრამ ჯერ არ მოქმედი ახალი და შესწორებული სტანდარტები**

ამ ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღისათვის კომპანიას არ გამოუყენებია შემდეგი ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტები, რომლებიც მიღებულია, მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში:

| | |
|---|---|
| ფასს 17 | *სადაზღვევო კონტრაქტები* |
| ფასს 10 და ბასს 28 (შესწორებები) | *ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების ყიდვა-გაყიდვა ან შეტანა* |
| ცვლილებები ბასს 1-ში | *ვალდებულებების კლასიფიცირება მიმდინარედ ან გრძელვადიანად* |
| ფასს 3 -ის ცვლილებები | *მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე* |
| ცვლილებები ბასს 16 -ში | *ძირითადი საშუალებები - შემოსავალი დაგებილ გამოყენებამდე* |
| ცვლილებები ბასს 37 -ში | *მძიმედ შესასრულებელი კონტრაქტები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება* |
| ცვლილებები ბასს 8 -ში | *საბუღალტრო შეფასებების განსაზღვრება* |
| ცვლილებები ბასს 1 -ში და ფასს-ის პრაქტიკულ განცხადებაში 2 | *საბუღალტრო პოლიტიკის წარმოდგენა* |
| ფასს-ის სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 წლების ციკლი | *ფასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების"*, ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების, *ფასს 16 იჯარის და ბასს 41 სოფლის მეურნეობის ცვლილებები* |

მენეჯმენტი არ თვლის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების მიღებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

**3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკის შეჯამება**

**მომზადების საფუძველი.** ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია IASB– ის მიერ გაცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS") და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. "ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად, გარდა ძირითადი კლასების ძირითადი კლასების გადაფასებული ღირებულებებით საერთაშორისო აღრიცხვის სტანდარტის (" ბასს ") 16" ძირითადი საშუალებები ". ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ვარაუდით, რომ კომპანია არის უწყვეტად მოქმედი საწარმო და გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ისტორიული ღირებულება ზოგადად ემყარება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გათვალისწინებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.



ინგლისური ენის თარჯიმანი მერაბ თოფურია

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის მოწესრიგებული გარიგებისას შეფასების თარიღზე, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ეს ფასი უშუალოდ აშკარა ან ნავარაუდევია შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს ისე, როგორც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ მახასიათებლებს აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას ამ შეფასების თარიღისათვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში გაზომვის და/ან წარმოდგენის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ასეთ საფუძველზე, გარდა აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებისა, რომლებიც ექცევიან ფასს 2-ის ფარგლებში, ლიზინგის გარიგებებისა, რომლებიც ბასს 17-ის ფარგლებშია და გაზომვებისა, რომელთაც აქვს გარკვეული მსგავსება სამართლიან ღირებულებასთან, მაგრამ არ წარმოადგენენ სამართლიან ღირებულებას, როგორიცაა ბასს 2-ის წმინდა რეალიზებადი ღირებულება ან ბასს 36-ში გამოყენების ღირებულება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულების შეფასებები კლასიფიცირდება, როგორც 1-ლი, მე-2 ან მე-3 დონის, იმის საფუძველზე, თუ რამდენად აშკარაა სამართლიანი ღირებულების შეფასებები და რამდენად შეესაბამება სამართლიანი ღირებულების შეფასებებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ:

- 1-ლი დონის საწყისი მონაცემებია იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასები აქტიურ ბაზრებზე, რომლებზედაც კომპანიას შეუძლია წვდომა შეფასების თარიღზე;
- მე-2 დონისაა ის საწყისი მონაცემები, რომელიც, 1-ლი დონის კოტირებული ფასების გარდა, შეიმჩნევა აქტივის ან ვალდებულებისათვის, პირდაპირ ან ირიბად; და
- მე -3 დონის საწყისი მონაცემები არის აქტივის ან ვალდებულების შეუმჩნეველი მონაცემები.

***წინამორბედი ღირებულებების მეთოდი.*** კომპანიამ გაიარა რეორგანიზაცია. ბიზნესის გადაცემა, რომელშიც ჩართული იყო ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტები, აღირიცხებოდა წინამორბედი აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით, რომელიც გამოიყენებოდა პერსპექტიულად - ანუ ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსურ შედეგებს ბიზნესის გადაცემის დღიდან.

ამ მეთოდით აქტივები და ვალდებულებები გადაცემულ იქნა წინამორბედი კომპანიის საბალანსო ღირებულებით. წინამორბედ კომპანიად ითვლება ანგარიშგების უმაღლესი კომპანია - შპს ჯი დი აი. ნებისმიერი სხვაობა ფას -ის გადაცემული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული გადარიცხვების ანაზღაურებას შორის აღირიცხება როგორც კაპიტალის ფარგლებში გაუნაწილებელი მოგების კორექტირება.

**ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში.** ერთობლივი საწარმო არის ერთობლივი შეთანხმება, რომლის თანახმადაც მხარეებს, რომლებსაც აქვთ ერთობლივი კონტროლი შეთანხმებაზე, აქვთ უფლება ერთობლივი საწარმოს წმინდა აქტივებზე. ერთობლივი კონტროლი არის ხელშეკრულებით შეთანხმებული კონტროლის გაზიარება, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილებები მოითხოვს კონტროლის გამზიარებელი მხარეების ერთსულოვან თანხმობას. ერთობლივი საწარმოების შედეგები და აქტივები და ვალდებულებები შეტანილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის წილობრივი მონაწილეობის მეთოდის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინვესტიცია კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად განკუთვნილი, ამ შემთხვევაში ის აღირიცხება ფასს 5-ის შესაბამისად.

ბასს 36 -ის მოთხოვნები გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა აუცილებელი გაუფასურების ზარალის აღიარება კომპანიის ასოცირებულ ორგანიზაციაში ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება შეფასებულია გაუფასურების მიზნით ბასს 36 -ის შესაბამისად, როგორც ერთი აქტივი, მისი აღდგენადი ღირებულების ( გამოყენების ღირებულებასა და განკარგვის ხარჯებგამოკლებულ სამართლიანი ღირებულებას შორის უფრო დიდი) მის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით. ნებისმიერი აღიარებული გაუფასურების ზარალი არ არის განაწილებული რაიმე აქტივზე, რომელიც წარმოადგენს ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. ამ გაუფასურების ზარალის ნებისმიერი აღდგენა აღიარებულია ბასს 36 -ის შესაბამისად იმდენად, რამდენადაც იზრდება შემდგომში ინვესტიციის აღდგენადი თანხა.

შპს ჯი დი აი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
*(თას ლარში)*

**ფუნქციური ვალუტა.** კომპანიის თითოეული ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი ერთეულები იზომება იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტის გამოყენებით, რომელშიც ის მოქმედებს („ფუნქციური ვალუტა"). კომპანიის მშობლის ფუნქციური ვალუტაა ქართული ლარი ("ლარი"). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პრეზენტაციის ვალუტა არის ლარი. ყველა მნიშვნელობა დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

**ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის კანონიერად აღსრულებადი უფლება და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს სუფთად ურთიერთჩათვლა, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და პასუხისმგებლობა შესრულდეს ერთდროულად. შემოსავლის და ხარჯის ურთიერთჩათვლა არ მოხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის მოთხოვნილი ან ნებადართული ნებისმიერი საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, და ეს კონკრეტულად არ არის გაცხადებული კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

**შემოსავალი.** შემოსავალი იზომება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი აღიარებულია, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონლის საკუთრების მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია გაყიდულ საქონელზე არ იტოვებს არც მმართველობით მონაწილეობას იმ ხარისხით, რომელიც ჩვეულებრივ ასოცირდება საკუთრებასთან და არც ეფექტურ კონტროლს მასზე;
- შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს;
- სავარაუდოა, რომ გარიგებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა ორგანიზაციაში; და
- შეიძლება გარიგებასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

კომპანია თამბაქოსა და სხვა პროდუქციის გაყიდვისათვის შესრულების ვალდებულებას აღიარებს ერთ განსაზღვრულ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება. შემოსავალი მცირდება მომხმარებლებისაგან სავარაუდო დაბრუნებების, ფასდაკლებებისა და სხვა მსგავსი რეზერვების გათვალისწინებით.

***იჯარა***

კომპანია აფასებს, წარმოადგენს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, ან შეიცავს თუ არა იჯარას ხელშეკრულების დადებისას. კომპანია აღიარებს სარგებლობის უფლების სახით წარმოდგენილ აქტივს და შესაბამის იჯარის ვალდებულებას ყველა იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელშიც ის არის მოიჯარე, გარდა მოკლევადიანი იჯარისა (განსაზღვრულია, როგორც იჯარა 12 თვიანი ან ნაკლები ვადით) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარისა (როგორიცაა პლანშეტები და პერსონალური კომპიუტერები, მცირე ზომის საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ასეთი იჯარებისათვის, კომპანია იჯარების გადახდას აღიარებს, როგორც საოპერაციო ხარჯს წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში, თუ სხვა სისტემატური საფუძველი არ არის უფრო წარმომადგენლობითი იმ პერიოდისათვის, რომლის დროსაც ხდება იჯარით გაცემული აქტივებიდან მიღებული სარგებელის მოხმარება.

იჯარის ვალდებულება თავდაპირველად იზომება იჯარის გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისთვის, და დისკონტირებულია იჯარით გათვალისწინებული განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი ადვილად ვერ განისაზღვრა, კომპანია იყენებს თავის მზარდ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე გრაფის სახით.

იჯარის ვალდებულება შემდგომში ფასდება საბალანსო ღირებულების ისეთი მატებით, რომელიც ასახავს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხულ პროცენტს (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით) ან საბალანსო ღირებულების ისეთი კლებით, რომელიც ასახავს გადახდილ საიჯარო გადასახდელს.

კომპანია საიჯარო ვალდებულებას გადააფასებს (და დააკორექტირებს აქტივების გამოყენების უფლებას), როდესაც:

- იჯარის ვადა შეიცვალა ან მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებათა ცვლილება, რამაც შეიძლება შეცვალოს შესყიდვის ოპციის განხორციელების შეფასება, რა შემთხვევაშიც იჯარის ვალდებულება ხელახლა იზომება იჯარის შესწორებული გადახდის დისკონტირებით, დისკონტირების შესწორებული განაკვეთის გამოყენებით.
- იჯარის გადახდები იცვლება ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების ან გარანტირებული ნარჩენი ღირებულების სავარაუდო გადახდის ცვლილების გამო, ამ შემთხვევებში იჯარის ვალდებულება ხელახლა განისაზღვრება ლიზინგის გადახდის გადასინჯული დისკონტირებით, დისკონტირების უცვლელი განაკვეთის გამოყენებით (თუ იჯარის გადახდები არ შეიცვლება ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო, ამ შემთხვევაში გამოიყენება დისკონტირების გადასინჯული განაკვეთი).
- იჯარის ხელშეკრულება შეცვლილია და იჯარის მოდიფიკაცია არ განიხილება როგორც ცალკე იჯარა, ამ შემთხვევაში იჯარის ვალდებულება ხელახლა განისაზღვრება მოდიფიცირებული იჯარის ვადის საფუძველზე, იჯარის გადასინჯული გადახდის დისკონტირებით მოდიფიკაციის თარიღისათვის მოქმედი დისკონტირების გადასინჯული განაკვეთის გამოყენებით.

კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე ასეთი სახის კორექტირება წარმოდგენილი პერიოდების განმავლობაში.

აქტივების გამოყენების უფლებები მოიცავს იჯარის შესაბამისი ვალდებულების საწყის გაზომვას, იჯარის გადახდებს, რომლებიც განხორციელდა დაწყების დღეს ან მის წინ, იჯარის ნებისმიერი მიღებული შეღავათისა და პირდაპირი საწყისი ხარჯების გამოკლებით. ისინი შემდგომში ფასდება ღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

როდესაც კომპანიას წარმოეშობა იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟთან და გატანასთან, მისი მდებარეობის უბნის აღდგენასთან, ან საბაზო აქტივის იჯარის პირობებით მოთხოვნილ მდგომარეობაში დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯების ვალდებულება, რეზერვი აღიარდება და ფასდება ბასს 37-ის შესაბამისად. თუ ხარჯები ეხება აქტივის გამოყენების უფლებას, ხარჯები შედის შესაბამის აქტივის გამოყენების უფლებაში, თუ ეს ხარჯები არ წარმოიქმნება მარაგების შესაქმნელად.

აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და შესაბამისი აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. თუ იჯარით შესაბამისი აქტივის მფლობელობა სხვა პირზე გადადის ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს, რომ კომპანია ვარაუდობს შესყიდვის ოფციის გამოყენებას, შესაბამის აქტივს ცვეთა ერიცხება აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთა იწყება იჯარის დაწყების დღეს.

აქტივების გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრაფაში "ძირითადი საშუალებები".

აქტივების გამოყენების უფლების გაუფასურების დასადგენად კომპანია იყენებს ბასს 36-ს და დადგენილ გაუფასურებულ ზარალს აღრიცხავს, როგორც ეს აღწერილია სააღრიცხვო პოლიტიკაში „ძირითადი საშუალებები“.
პრაქტიკული შეღავათის სახით, ფასს 16 იჯარის მიმღებს საშუალებას აძლევს, არ განაცალკევოს ერთმანეთისგან არასაიჯარო კომპონენტები და ამის ნაცვლად საიჯარო და მათთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტები აღრიცხოს ერთ გარიგებად. კომპანიამ გამოიყენა ეს პრაქტიკული მეთოდი.

კომპანია არ არის წარმოდგენილი, როგორც გამქირავებელი, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში

**უცხოური ვალუტა.** ორგანიზაციის ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები (უცხოური ვალუტა) აღირიცხება იმ გაცვლითი კურსით, რომელიც მოქმედებდა გარიგებების თარიღებზე. საანგარიშო თარიღისათვის, უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი ერთეულები გადაანგარიშდება ანგარიშგების თარიღისათვის არსებული კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება გაცვლითი კურსის სხვაობების შედეგად, შედის იმ პერიოდის მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.



ინგლისური ენის თარჯიმანი მერაბ თოფურია

ქვემოთ მოცემულია გაცვლითი კურსები წლის ბოლოსთვის, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ამ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის:

| | 31/12/2020 წ | 31/12/2019 |
|---|---|---|
| ლარი/აშშ დოლარი | 3.2766 | 2.8677 |
| ლარი/ევრო | 4.0233 | 3.2095 |

**ხელფასები და მასთან დაკავშირებული გადასახადები.** 2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიას აქვს კანონით ევალება საპენსიო უზრუნველყოფა დასაქმებულთა მთლიანი ხელფასებისა და სარგებლის 2%-ის ოდენობით, რომელიც გადაიხდება სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

**საშემოსავლო გადასახადები.** საშემოსავლო გადასახადი გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებულია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო თარიღისთვის. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კორპორაციული დაბეგვრის ამჟამინდელი მოდელის ცვლილება, 2017 წლის 1 იანვრიდან ცვლილებები განხორციელდა ყველა სუბიექტისთვის, ცალკეული ფინანსური ინსტიტუტების გარდა. შეცვლილი მოდელი გულისხმობს ნულოვან კორპორატიულ გადასახადს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15% -იან კორპორატიულ გადასახადს განაწილებულ მოგებაზე, ნაცვლად წინა მოდელისა, 15% -იანი გადასახადის განაკვეთისა კომპანიის მოგებაზე დაბეგვრამდე, მიუხედავად იმისა, განაწილებული იყო მოგება თუ გაუნაწილებელი.

მოგების გადასახადის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, რომელიც ვრცელდება კომპანიაზე და საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტიურ, ასევე სავარაუდო მოგების განაწილებას, მათ შორის შემდეგს:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადასახადები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდება ან/და თანხების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე საშემოსავლო გადასახადი აღიარებულია ხარჯად იმ მომენტში, როდესაც დივიდენდები გამოცხადებულია და მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აღრიცხულია როგორც "საშემოსავლო გადასახადი". მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის განისაზღვრება იმ ოდენობით, რომლის მიღება ან გადახდა მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან/ორგანოებისათვის.

გადასახადი, რომელიც გადანაწილებულია სხვა სფეროებზე, როგორც აღწერილია ზემოთ, მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება „საგადასახადო ხარჯებში“.

დაბეგვრის კონცეფციის შეცვლის გამო ტერმინი "აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა" კარგავს ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 12-ში - "საშემოსავლო გადასახადი", არ გამოიყენება კორპორატიული დაბეგვრის ახალი მოდელის მიხედვით.

**ძირითადი საშუალებები**

***ცვლილება საბუღალტრო პოლიტიკაში***

2020 წლის 31 ოქტომბერს კომპანიამ თავისი საბუღალტრო პოლიტიკა , საქონლის მომარაგებისათვის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის გამოყენებული ტრანსპორტის ქვეკატეგორიასთან მიმართებაში, შეცვალა ხარჯების მოდელიდან გადაფასების მოდელზე. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შეცვლილი წარმოდგენა უკეთ ასახავს მის არსს და შესაბამისად აძლიერებს ფინანსური ანგარიშგების ხარისხს კომპანიის აქტივების შესახებ უფრო შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით.

ეს შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელ შემფასებელთა ფირმის მიერ, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და რომელსაც გააჩნია მსგავსი აქტივების შეფასების უახლესი გამოცდილება. შედარების პროცესში მათ გამოიყენეს შედარებითი ანალოგები (რეგისტრირებული გაყიდვა ან/და გაყიდვის შეთავაზება), რომელთა ფასებშიც გამოიყენებოდა ობიექტსა და ანალოგებს შორის განსხვავების საფუძველზე დაფუძნებული კორექტირებები. ყველა აქტივი შეფასდა საბაზრო მიდგომის გამოყენებით (დონე 3) ბაზრის მდგომარეობიდან გამომდინარე, კერძოდ კი შეფასების თარიღისათვის რეგისტრირებული გაყიდვებისა და წინადადებების საკმარისი რაოდენობის არსებობით.

კომპანიამ ახალი საბუღალტრო პოლიტიკა გამოიყენა პერსპექტივაში და, შესაბამისად, შედარებითი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. მოგება/ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშგებაში ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილებების გავლენამ შეადგინა ამორტიზაციის ხარჯების შემცირება 314 ლარით და სხვა ჯამური შემოსავლის აღიარება 842 ლარით.

**ძირითადი საშუალებების პოლიტიკის გამოყენება ცვლილების შემდეგ**

საქონლის მიწოდებისთვის ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოსაყენებელი ტრანსპორტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მათი გადაფასებული თანხებით, რაც არის გადაფასების თარიღისათვის არსებული სამართლიანი ღირებულება, შემდგომი დაგროვილი ცვეთისა და შემდგომი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გადაფასება ტარდება საკმარისი რეგულარობით ისე, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმისაგან, რაც სამართლიანი ღირებულებების გამოყენებით განისაზღვრებოდა ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ამგვარი ქონების გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება კაპიტალში მხოლოდ იმ ოდენობით, რომ მან მოახდინოს მანამდე მოგება-ზარალში აღიარებული გადაფასების კლება იმავე აქტივზე. ასეთ შემთხვევაში ზრდა შედის მოგება-ზარალში მანამდე ხარჯად აღიარებული კლების ოდენობით. ასეთი აქტივების გადაფასებაზე წარმოშობილი საბალანსო ღირებულების შემცირება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში იმ მოცულობით, რომელიც აღემატება იმ ბალანსს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც ინახება გადაფასების რეზერვში ამ აქტივის წინა გადაფასებასთან დაკავშირებული ერთეულებისათვის.

**ძირითადი საშუალებების პოლიტიკის გამოყენება ცვლილებამდე**

ძირითადი საშუალებები ასახულია ღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, საჭიროების შემთხვევაში.

მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აისახება ხარჯებში მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზირდება და შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, მიანიშნებს თუ არა რაიმე ძირითადი საშუალებების გაუფასურებაზე. თუ ასეთი მინიშნება არსებობს, მენეჯმენტი აფასებს აღდგენად თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც უმაღლესი შემდეგი ორი ღირებულებიდან - აქტივის სამართლიანი ღირებულება გაყიდვის ხარჯების გამოკლებით და მისი გამოყენებითი ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენად თანხამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისთვის წინა წლებში, შეიცვლება საჭიროებისამებრ, თუ მოხდა ცვლილება შეფასებაში, როდესაც განისაზღვრება აქტივის გამოყენების ღირებულება ან სამართლიანი ღირებულება გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

გასხვისებიდან მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება წლის მოგება-ზარალში სხვა შემოსავლების ან ხარჯების ფარგლებში.

**ცვეთა .** გადაფასებული აქტივების ცვეთა აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. გადაფასებული აქტივების შემდგომი გაყიდვის ან ჩამოწერისას, გადაფასების ნამეტი, რომელიც რჩება გადაფასების რეზერვში, გადადის პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის

გამოყენებით, რათა მოხდეს მათი ხარჯების გადანაწილება მათ ნარჩენ ღირებულებებზე მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის განმავლობაში.

სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდი, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდი განიხილება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რის შედეგადაც სააღრიცხვო დაშვებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად. ცვეთის განაკვეთები ასეთია:

| | ცვეთის განაკვეთები |
|---|---|
| მოწყობილობები და აღჭურვილობა | 20% |
| ტრანსპორტი | 14.5% (2019:20%) |
| საოფისე ტექნიკა | 20% |
| სხვა | 20% |

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივის განკარგვიდან განკარგვის ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი იქნებოდა უკვე ისეთი ასაკის და ისეთ მდგომარეობაში, როგორც სასარგებლო მოხმარების პერიოდის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მოხმარების პერიოდი საჭიროების შემთხვევაში გადაისინჯება და დაკორექტირდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარება უქმდება გასხვისებისთანავე ან როდესაც არ იქნება მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელის მიღება აქტივის უწყვეტი გამოყენებისგან. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გასხვისების ან ჩამოწერისას, განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

**ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები.** ცალკე შეძენილი, განსაზღვრულ ვადიანი სასარგებლო გამოყენების არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის აღიარება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის განმავლობაში. სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი გადაისინჯება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რის შედეგადაც სააღრიცხვო დაშვებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად. ამორტიზაციის განაკვეთი არამატერიალურ აქტივებზე არის 15% და გამოიყენება წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივის აღიარება უქმდება გასხვისებისთანავე ან როდესაც არ იქნება მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელის მიღება აქტივის გამოყენების ან გასხვისებისაგან. არამატერიალური აქტივის აღიარების გაუქმების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც შეფასებულია, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება გაუქმდება.

**მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომპანია განიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა დაადგინოს, არის თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების ზარალი. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენადი ღირებულება ფასდება გაუფასურების ზარალის დასადგენად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). როდესაც შეუძლებელია ცალკეული აქტივის აღდგენადი ღირებულების დადგენა, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთათვისაც შესაძლებელია განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის გამოვლენა.

აღდგენადი ღირებულება არის უმაღლესი შემდეგი ორი ღირებულებიდან - სამართლიანი ღირებულება გაყიდვის ხარჯების გამოკლებით და მისი გამოყენებითი ღირებულება. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება არსებული საპროცენტო განაკვეთით გადასახადების გამოკლებით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და აქტივისათვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზეც არ მომხდარა სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გაუფასურების ზარალის გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება აღდგენადი თანხის შესწორებულ სავარაუდო მოცულობამდე ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა, წინა წლებში აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ხარჯი რომ არ აღიარებულიყო. გაუფასურების ხარჯების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგება- ზარალში.

**მარაგები.** მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და რეალიზაციის წმინდა ღირებულებას შორის უფრო დაბალ ფასად. ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც გაყიდვის სავარაუდო ფასი, დასრულების ყველა სავარაუდო დანახარჯებისა და გაყიდვებისათვის აუცილებელი ხარჯების გამოკლებით. საქონლის მომწოდებლები უზრუნველყოფენ კომპანიას ბონუსებით. მომწოდებლებისგან გაყიდვებთან დაკავშირებული ხარისხობრივი ღონისძიებების შესრულებისათვის მიღებული ბონუსები გამოიქვითება უშუალოდ გაყიდვების ღირებულებიდან.

**რეზერვები.** რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (სამართლებრივი ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად, კომპანიას სავარაუდოდ მოეთხოვება მათი დაფარვა და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საიმედო სიზუსტით.

რეზერვებად აღიარებული თანხა წარმოადგენს იმ ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა მოკლევადიანი ვალდებულების დასაფარად საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და უზუსტობების გათვალისწინებით. თუ რეზერვი გამოითვლება ვალდებულების დასაფარად საჭირო ფულადი სახსრების მოძრაობიდან, მისი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ამავე ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

როდესაც მოსალოდნელია, რომ ბანკი მესამე მხარისგან ნაწილობრივ ან სრულად ამოიღებს რეზერვის ფორმირებისთვის საჭირო ეკონომიკურ სარგებელს, მოთხოვნის ასახვა ხდება აქტივებში, თუ მოსალოდნელი გადახდა არის სარწმუნო, ხოლო მოთხოვნის თანხის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით;

**პირობითი ვალდებულებები და აქტივები.** პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ აღიწერება ფინანსურ ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაბალია ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინების ალბათობა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშგების შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

**ფინანსური ინსტრუმენტები.** ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ხელშეკრულების მხარე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეძენასა და გამოშვებას (მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა), თავდაპირველი აღიარებისას ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აისახება, პირდაპირ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

**ფინანსური აქტივები** ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შემდგომში განისაზღვრება მთლიანად ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, გამომდინარე ამ ფინანსური აქტივების კლასიფიკაციიდან .

*ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია*

საწყისი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის მართვის ბიზნეს მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორივე პირობა:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის (SPPI) გადახდას. ამ შეფასებას ეწოდება SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

სესხის ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს, შემდგომში განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის საშუალებით (FVTOCI).

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

სტანდარტულად, ყველა სხვა ფინანსური აქტივი შემდგომში იზომება სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში (FVTPL).

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კომპანიას შეუძლია გააკეთოს შემდეგი შეუქცევადი არჩევანი/დანიშვნა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას:

- კომპანიას შეუძლია შეუქცევადად აირჩიოს კაპიტალური ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების წარდგენა სხვა სრულ შემოსავალში სხვა კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ; და
- კომპანიას შეუძლია შეუქცევადად განსაზღვროს სავალო ინვესტიცია, რომელიც აკმაყოფილებს

ამორტიზებულ ღირებულებას ან FVTOCI კრიტერიუმებს, როგორც ეს შეფასებულია FVTPL– ით, თუკი ეს გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად შეამცირებს ბუღალტრული აღრიცხვის შეუსაბამობას.

წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, ყველა ფინანსური აქტივი განკუთვნილია საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად და კლასიფიცირდება პირველ ბიზნეს მოდელში - Held to collect (H2C).

*ეფექტური პროცენტის მეთოდი.*

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ვალის ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოანგარიშებისა და საპროცენტო შემოსავლის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი.

ფინანსური აქტივებისთვის, გარდა შეძენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა (საწყისი აღიარებისას საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივები), ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი შემოსულობების დისკონტირებას (მათ შორის ყველა გადახდილი ან მიღებული საფასურისა და ქულებისა, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯების და სხვა პრემიების ან ფასდაკლებების განუყოფელ ნაწილს) მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გამორიცხვით სავალო ინსტრუმენტის სავარაუდო არსებობის, ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, სავალო ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე საწყისი აღიარებისას. შეძენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისათვის, კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების, მათ შორის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის, დისკონტირებით საწყისი აღიარებისას სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი იზომება საწყისი აღიარებისას, ძირითადი თანხის დაფარვების გამოკლებით, პლუს ამ საწყის თანხასა და ვადიანობის თანხას შორის ნებისმიერი სხვაობის კუმულაციური ამორტიზაცია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, კორექტირებული შესაძლო ზარალის რეზერვით. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება ნებისმიერი ზარალის რეზერვით კორექტირებამდე.

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით სავალო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით და FVTOCI– ით. ფინანსური აქტივებისთვის, გარდა შეძენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შემდგომში გაუფასურდნენ საკრედიტო რისკის გამო (იხ. ქვემოთ). ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც შემდგომში გახდნენ საკრედიტო რისკით გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ შემდგომ საანგარიშო პერიოდებში საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი გაუმჯობესდება ისე, რომ ფინანსური აქტივი აღარ იქნება საკრედიტო რისკით გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შეძენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისათვის, კომპანია აღიარებს საპროცენტო შემოსავალს კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე საწყისი აღიარებიდან. გაანგარიშება არ



ინგლისური ენის თარჯიმანი მერაბ თოფურია

ბრუნდება ერთობლივ საფუძველზე მაშინაც კი, თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი შემდგომში გაუმჯობესდება ისე, რომ ფინანსური აქტივი აღარ იქნება საკრედიტო რისკით გაუფასურებული.

**სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება** სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრებადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, ყოველგვარი გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებისა, როდესაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

**ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები** ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ხელზე არსებული ნაღდი ფულისგან, ბანკში განთავსებული მოთხოვნამდე დეპოზიტებისაგან მოთხოვნისთანავე განაღდებით ან აქტივებისგან სამ თვემდე ან ნაკლები დაფარვის ვადით. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამორიცხულია ფულადი სახსრებიდან და ფულის ექვივალენტებიდან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გაცვლა ან ვალდებულების შესასრულებლად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში, შედის შეზღუდულ ფულად სახსრებში.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება.** მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გასაზომად კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და საკონტრაქტო აქტივებისათვის შეიქმნება მოსალოდნელი ზარალის უვადო რეზერვი. ამრიგად, ფულადი სახსრებისა და ფულადი ექვივალენტებისათვის და სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის კომპანია არ აკონტროლებს საკრედიტო რისკის ცვლილებებს, მაგრამ პირიქით აღიარებს ზარალის რეზერვს უვადო საკრედიტო რისკების საფუძველზე ყოველ ანგარიშგების თარიღზე. კომპანიამ შეიმუშავა რეზერვის ფორმირების მიდგომა, რომელიც ემყარება მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებას, რომელიც კორექტირებულია მოვალეებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელ მომავლის ფაქტორებით.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტის მდგომარეობაში, როდესაც სახელშეკრულებო გადახდა არის 90 დღის ვადაგადაცილებული. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, კომპანიას ასევე შეუძლია ჩათვალოს, რომ ფინანსური აქტივი არის დეფოლტის მდგომარეობაში, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს იმაზე, რომ ნაკლებად სავარაუდოა, კომპანიამ მიიღოს გადაუხდელი საკონტრაქტო თანხები კომპანიის საკრედიტო გაუმჯობესების გათვალისწინებამდე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე, აქტივის დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. მოგვიანებით ამოღებული აღრე ჩამოწერილი თანხები ჩაირიცხება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე წლის მოგებაში ან ზარალში.

**ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.** კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას გააუქმებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამოიწურება საკონტრაქტო უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, ან როდესაც ის გადასცემს ფინანსურ აქტივს და არსებითად საკუთრების ყველა რისკსა და სარგებელს სხვა კომპანიას. თუ კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრების არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და განაგრძობს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს აქტივისადმი მის შენარჩუნებულ ინტერესს და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს იმ თანხებისათვის, რომლის გადახდაც მას მოუწევს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრების არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს უზრუნველყოფილ სესხს მიღებული შემოსავლებისთვის.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივის აღიარების გაუქმებისას სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებას და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გარდა ამისა, FVTOCI- ში კლასიფიცირებულ სავალო ინსტრუმენტში ინვესტიციის გაუქმების შემდეგ, ინვესტიციების გადაფასების რეზერვში ადრე დაგროვილი კუმულატიური მოგება ან ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება ან ზარალში.

**ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები**

**კლასიფიკაცია ვალად ან კაპიტალად** კომპანიის მიერ გაცემული ვალი და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება ან როგორც ფინანსური ვალდებულებები, ან კაპიტალი, სახელშეკრულებო შეთანხმებების არსისა და ფინანსური ვალდებულების განსაზღვრის, და წილობრივი ინსტრუმენტის შესაბამისად.

**წილობრივი ინსტრუმენტები** წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ხელახალი შესყიდვა აღიარდება და გამოიქვითება უშუალოდ კაპიტალში. მოგებაში ან ზარალში არ აღიარდება მოგება ან ზარალი კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების შეძენის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმებისას.

**ფინანსური ვალდებულებები.** ფინანსური ვალდებულებები (წარმოდგენილი სესხებით, სავაჭრო და სხვა გადასახდელი ვალდებულებებითა და დივიდენდებით) შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

**ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება.** კომპანია აუქმებს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

**საწესდებო კაპიტალი** საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

**დივიდენდები.** დივიდენდები კაპიტალში აღიარდება როგორც შემცირება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი დეკლარირება. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდეგ, განიხილება როგორც შემდგომი მოვლენა და აისახება შესაბამისად.
**წინასწარ გადახდილი გადასახადები და გადასახადები.** წინასწარ გადახდილი გადასახადები აისახება მათი ნომინალური ღირებულებით სავარაუდო უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით. საშემოსავლო გადასახადის გარდა გადასახდელი გადასახადები ნაჩვენებია მათი ნომინალური ღირებულებით. ანგარიშები შესაბამისად შედის სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში და სავაჭრო და სხვა გადასახდელ ვალდებულებებში.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება შემოსავლების სამსახურში ერთიან საგადასახადო ანგარიშზე. ანგარიშსწორება ხდება წმინდა საფუძველზე.

**გადაფასების რეზერვი.** კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, კაპიტალში ჩაწერილი რეზერვი მოიცავს ტრანსპორტის გადაფასების რეზერვს.



ინგლისური ენის თარჯიმანი მერაბ თოფურია

## 4. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და განსჯები საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას

მე-3 შენიშვნაში აღწერილი კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობა ვალდებულია, განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. შეფასებები და მასთან დაკავშირებული ვარაუდები ემყარება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა, აქტუალურად მიჩნეულ ფაქტორებს. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები განიხილება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. სააღრიცხვო შეფასებების გადასინჯვები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასების გადახედვა, თუ გადასინჯვა შეეხება მხოლოდ იმ პერიოდს, ან გადასინჯვის პერიოდში და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ასევე მომავალ პერიოდებზე.

კომპანიის მენეჯმენტს არ გაუკეთებია რაიმე კრიტიკული განსჯა კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და ამან შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

## 5. შემოსავალი

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, კომპანიის შემოსავალს შეადგენდა:

| | 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი | 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი |
|---|---|---|
| თამბაქოს ნაწარმი | 502,843 | 441,179 |
| IQOS მოწყობილობები და აქსესუარები | 5,254 | - |
| **სულ** | **508,097** | **441,179** |

## 6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, კომპანიის გაყიდვების ხარჯს შეადგენდა:

| | 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი | 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი |
|---|---|---|
| თამბაქოს ნაწარმი | 480,825 | 419,714 |
| IQOS მოწყობილობები და აქსესუარები | 5,222 | - |
| **სულ** | **486,047** | **419,714** |

## 7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, კომპანიის საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯს შეადგენდა:

| | 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული | 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული |
|---|---|---|

| | წელი | წელი |
|---|---|---|
| ხელფასები და მასთან დაკავშირებული გადასახადები. | 5,781 | 4,764 |
| სადაზღვევო ხარჯი | 324 | 231 |
| პროფესიონალური მომსახურება | 252 | 219 |
| საბანკო გადასახადები | 147 | 74 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 30 | 21 |
| სხვა ხარჯები | 608 | 290 |
| **სულ** | **7,142** | **5,599** |

## 8. დისტრიბუციის ხარჯები

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, კომპანიის დისტრიბუციის ხარჯს შეადგენდა:

| | 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი | 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი |
|---|---|---|
| ხელფასები და მასთან დაკავშირებული გადასახადები. | 2,932 | 2,461 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 602 | 425 |
| ტრანსპორტირების ხარჯები | 588 | 605 |
| სხვა ხარჯები | 130 | 93 |
| **სულ** | **4,252** | **3,584** |

## 9. მარაგები

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მარაგები იყო შემდეგი:

| | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| მზა პროდუქცია | 22,829 | 16,589 |
| სხვა | 26 | 22 |
| **სულ** | **22,855** | **16,611** |

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგები, შესაბამისად, 22,855 და 16,611 ლარის საბალანსო ღირებულებით, კომპანიამ დააგირავა სესხების უზრუნველყოფის სახით. (შენიშვნა 13.)

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის დასრულებული წლების განმავლობაში უწყვეტ ოპერაციებთან მიმართებაში ხარჯებად აღიარებული მარაგების მთლიანი ღირებულება შესაბამისად იყო 486,047 ლარი და 441,179 ლარი.

## 10. გაცემული სესხები

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის გაცემული სესხები იყო შემდეგი:

| | მიმდინარე კალენდარული წელი | ვადიანობა | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|---|
| მეწილეები | GEL | 21 იანვარი | 2,141 | - |
| იურ. პირები საერთო კონტროლის ქვეშ | GEL | დეკ-20 | - | 9 |
| **სულ** | | | **2,141** | **9** |

## 11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბერს ფულადი სახსრები და ექვივალენტები იყო შემდეგი:

| | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ნაღდი ფული ხელზე | 98 | 95 |
| ნაღდი ფული ბანკებში | 7,744 | 3,088 |
| **სულ** | **7,842** | **3,183** |

არცერთი ნაშთი ბანკებთან არ არის ვადაგასული. მოკლევადიანი ხასიათის გამო ბანკებთან არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ არის აღიარებული. საბანკო ნაშთები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს საქართველოში არსებულ ბანკებში და გამოიყენება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მიზნებისათვის.

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მთელი ფულადი სახსრები არის იმ ბანკებში, რომელთა რეიტინგის Fitch Ratings-ის მიერ შეფასებულია, როგორც B (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- (გრძელვადიანი რეიტინგი).

## 12. გაუნაწილებელი მოგება

**დივიდენდები**

2020 და 2019 წლებში კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები, შესაბამისად, 9,917 და 3,931 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, 2019 წლის განმავლობაში კომპანიამ დაფარა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი დივიდენდები 266 ლარის ოდენობით.

**რეორგანიზაცია**

2019 წლის 27 ივნისს შპს ჯი დი აი-მ დადო აქციების შესყიდვის ხელშეკრულება სხვა კომპანიის 15,777 (100%) აქციის 50%-ის შესყიდვის მიზნით. ხელშეკრულების მიხედვით ჯი დი აი-მ შეიძინა 7 888 აქცია (49,99683%). 2019 წლის 10 ივლისს კომპანიის აქციონერები შეთანხმდნენ დამატებით 4,059 ჩვეულებრივი აქციის გამოშვებაზე 1 ლარის ნომინალური ღირებულებით. აქციების დამატებითი გამოშვების შედეგად შპს ჯი დი აი-ს წილი გაიზარდა 50%-მდე . გარიგების საერთო ღირებულებამ შეადგინა 6,841 ლარი და ვინაიდან ყოველ მხარეს ჰქონდა სრული საკონტროლო პაკეტი, კომპანიამ აღიარა ის როგორც ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში.

2019 წლის 15 ნოემბერს ჰოლდინგ კომპანიამ, Donley Consultants–მა მიიღო გადაწყვეტილება, განეხორციელებინა რეორგანიზაცია მის შვილობილ შპს ჯი დი აი-ში. რეორგანიზაციის საგანი იყო იგივე ჰოლდინგის ქვეშ ახალი კომპანიის, შპს „ჯი დი ლოჯისტიკს სოლუშენი"-ს დაფუძნება. ამ რეორგანიზაციის ფარგლებში შპს ჯი დი აი-მ შპს Logistics Solutions-ს გადასცა ყველა თავისი აქცია ერთობლივ საწარმოში, რამაც

გამოიწვია ერთობლივ საწარმოში ინვესტიციებისა და გაუნაწილებელი მოგების შემცირება 6,841 ლარით. გარდა ამ გარიგებისა, რეორგანიზაციის ფარგლებში სხვა ცვლილებები არ განხორციელებულა.

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს რაიმე ინტერესი ერთობლივ საწარმოში.

**გადატანა გადაფასების რეზერვიდან**

2020 წელს კომპანიამ თავისი საბუღალტრო პოლიტიკა, ძირითადი საშუალებების - ტრანსპორტის ქვეკატეგორიასთან მიმართებაში, შეცვალა ხარჯების მოდელიდან გადაფასების მოდელზე. 2020 წლის განმავლობაში 20 ლარი გამოთავისუფლდა გადაფასების რეზერვიდან ადრე გადაფასებული აქტივების ცვეთის გამო. საბუღალტრო პოლიტიკის ცვლილება აღწერილია მე-3 შენიშვნაში.

## 13. სესხები

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები იყო შემდეგი:

| | მიმდინარე კალენდარული წელი | ვადიანობა | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|---|
| **უზრუნველყოფილი კრედიტები და სესხები:** | | | | |
| სს თიბისი ბანკი | GEL | თებ-21 | 11,000 | - |
| სს თიბისი ბანკი | GEL | იან-20 | - | 3,483 |
| **არაუზრუნველყოფილი კრედიტები და სესხები:** | | | | |
| შპს ქართული სადისტრიბუციო და მარკეტინგული კომპანია | GEL | დეკ-21 | 5,074 | - |
| **სულ კრედიტები და სესხები** | | | **16,074** | **3,483** |
| კრედიტებისა და სესხების მოკლევადიანი ნაწილი | | | 16,074 | 3,483 |
| კრედიტებისა და სესხების გრძელვადიანი ნაწილი | | | - | - |
| **სულ კრედიტები და სესხები** | | | **16,074** | **3,483** |

სესხები თიბისი ბანკიდან უზრუნველყოფილია კომპანიის მარაგების , ძირითადი საშუალებებისა და დებიტორული სავაჭრო ანგარიშების გირავნობით.

შპს „ქართული სადისტრიბუციო მარკეტინგული კომპანიის" სესხებზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ყოველთვიური საბაზრო განაკვეთების საფუძველზე.

სესხები გადაიხდება შემდეგნაირად:

| | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| გადასახდელია ერთ თვეში | 74 | 3,483 |
| გადასახდელია ერთიდან სამ თვეში | 11,000 | - |
| გადასახდელია სამიდან თორმეტ თვემდე ვადაში | 5,000 | - |
| **სრულად გადასახდელია ერთ წელიწადში** | **16,074** | **3,483** |

სესხების ცვლილება 2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის იყო შემდეგი:

| | 2020 წელი | წელი 2019 |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| **წმინდა ვალი პერიოდის დასაწყისში** | **3,483** | **1** |
| ძირის დამატება | 567,831 | 443,114 |
| დარიცხული პროცენტი | 733 | 425 |
| გადახდილი ძირი | (555,311) | (439,634) |
| გადახდილი პროცენტი | (662) | (423) |
| **წმინდა ვალი პერიოდის ბოლოს** | **16,074** | **3,483** |

სესხების ცვლილებები დაკავშირებულია მოკლევადიან გაცემებთან და თანხების დაფარვასთან საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებების მიხედვით, რომლებიც ბანკებთან არის შეთანხმებული კომპანიის საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

## 14. სავაჭრო და სხვა გადასახდელი ვალდებულებები

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის სავაჭრო და სხვა გადასახდელები იყო შემდეგი:

| | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სავაჭრო ვალდებულებები მარაგებისათვის | 19,856 | 16,514 |
| სავაჭრო გადასახდელები მომსახურებისთვის | 293 | 160 |
| სხვა გადასახდელები | 289 | 259 |
| გადასახადები, გარდა საშემოსავლოსი | 1,242 | 600 |
| **სულ** | **21,680** | **17,533** |

## 15. ფინანსური ინსტრუმენტები.

სამართლიანი ღირებულების გაზომვები სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეზე გაანალიზებულია შემდეგნაირად: (i) პირველი დონე არის გაზომვები კოტირებული (დაუზუსტებელი) ფასებით აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებებისათვის, (ii) მეორე დონის გაზომვები არის შეფასების ტექნიკა დაკვირვებადი აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი შესაყვანი მონაცემებით, პირდაპირ (ანუ ფასებად) ან არაპირდაპირ (ანუ გამომდინარე ფასებიდან) და (iii) მესამე დონის გაზომვები არის შეფასებები, რომლებიც არ ემყარება დასაკვირვებელი ბაზრის მონაცემებს (ანუ შეუმჩნეველ შესაყვან მონაცემებს). ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისათვის მენეჯმენტი იყენებს მიდგომას სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ სამართლიანი ღირებულების გაზომვა იყენებს დასაკვირვებელ შესაყვან მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებენ, ეს გაზომვა არის მე –3 დონის გაზომვა. სამართლიანი ღირებულების გაზომვასთან მიმართებაში შეფასების შესაყვანი მონაცემების მნიშვნელობა შეფასებულია მთლიანობაში.

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები** ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება ემყარება სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი საკრედიტო რისკის მქონე ინსტრუმენტებისთვის და დარჩენილი ვადიანობით. გამოყენებული ფასდაკლება დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და სხვა ფინანსური აქტივები ახლოა სამართლიან ღირებულებებთან მათი მოკლევადიანი ვადიანობის გამო.

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები**. განსაზღვრული დაფარვის ვადის მქონე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ფულადი სახსრების ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი საკრედიტო რისკის მქონე ინსტრუმენტებისთვის და დარჩენილი ვადიანობით. კომპანიის

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ახლოს არის მათ სამართლიან ღირებულებასთან.

ფულადი სახსრებისა და ფულადი ექვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 1 დონის გაზომვის გამოყენებით და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მე -3 დონის გაზომვის გამოყენებით.

**კაპიტალის რისკის მართვა** –კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს აქციონერების უკუგების მაქსიმიზაცია. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად განიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ამ მიმოხილვის შედეგების საფუძველზე, კომპანია დგამს ნაბიჯებს, რათა დააბალანსოს კაპიტალის მთლიანი სტრუქტურა დივიდენდების გადახდის გზით, ახალი აქციების გამოშვებით, ასევე ახალი კრედიტებისა და სესხების აღებით ან არსებული კრედიტებისა და სესხების დაფარვით.

საკუთარი და ნასესხები საშუალებების კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის ბოლოს იყო შემდეგი:

| | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სესხები | 16,074 | 3,483 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | (7,842) | (3,183) |
| **წმინდა სესხები** | 8,232 | 300 |
| კაპიტალი | 1,029 | 2,317 |
| **წმინდა სესხის კოეფიციენტი კაპიტალთან მიმართებაში** | 8.00 | 0.13 |

**ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები** – კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს კრედიტებს და სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის საქმიანობის დაფინანსება. კომპანიას გააჩნია სხვადასხვა ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

| | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები.** | | |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 7,842 | 3,183 |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 4,123 | 2,643 |
| გაცემული სესხები | - | 9 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **11,965** | **5,835** |

| | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | |
| სესხები | 16,074 | 3,483 |
| სავაჭრო და სხვა გადასახდელი დავალიანება | 21,680 | 17,533 |
| იჯარის ვალდებულება | 2,033 | 525 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **39,787** | **21,541** |

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოქმნილი ძირითადი რისკები არის უცხოური ვალუტა, საპროცენტო განაკვეთი, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

***გეოგრაფიული რისკი.*** კომპანიის აქტივები მდებარეობს საქართველოში და მისი ბიზნეს გეგმები კრიტიკულად არის დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და კანონის უზენაესობაზე. საქართველოში კვლავაც სახეზეა განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები. როგორც ასეთი, კომპანია ექვემდებარება ქვეყანაში არსებული ბიზნესის ან სამართლებრივი გარემოს ნებისმიერ გაუარესებას.

**უცხოური ვალუტის რისკი**– სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითად იმოქმედებს სავალუტო კურსის ცვლილებები, რომლებზეც დამოკიდებულია კომპანია. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში გამოხატულ გარკვეულ გარიგებებს. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ინსტრუმენტებს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების სამართავად.
კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის იყო შემდეგი:

| | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| | 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი | 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი |
| **ფინანსური აქტივები.** | | |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | - | 3 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | - | 3 |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | |
| იჯარის ვალდებულება | 1,552 | - |
| სავაჭრო და სხვა გადასახდელი ვალდებულებები | 95 | 44 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | 1,647 | 44 |
| **სულ წმინდა პოზიცია** | (1,647) | (41) |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტასთან მიმართებაში ფუნქციური ვალუტის 20% –ით გაძლიერებისადმი/შესუსტებისადმი 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის. ანალიზი გამოყენებული იყო შესაბამის ვალუტაში გამოხატული ფულადი ერთეულებისთვის საანგარიშო თარიღზე.

| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **აშშ დოლარის გავლენა** | |
|---|---|---|
| | **ლარი/აშშ დოლარი + 20%** | **ლარი/აშშ დოლარი - 20%** |
| მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე | (329) | 329 |

| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **აშშ დოლარის გავლენა** | |
|---|---|---|
| | **ლარი/აშშ დოლარი + 20%** | **ლარი/აშშ დოლარი - 20%** |
| მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე | (8) | 8 |

**საპროცენტო განაკვეთის რისკი** –საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანიას აქვს შეზღუდული საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან კომპანიამ მიიღო სესხის სახსრები მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით.

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ძირითად დაშვებებში მომხდარი ცვლილებების შედეგებს, ხოლო სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მგრძნობელობები არ არის წრფივი და ამ შედეგებიდან გამომდინარე უფრო დიდი ან პატარა გავლენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული ან ექსტრაპოლირებული.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმას, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. ამასთან, კომპანიის ფინანსური პოზიცია შეიძლება იცვლებოდეს იმ დროს, როდესაც ხდება ფაქტიური საბაზრო მოძრაობები. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებზე დამოკიდებულების მართვას. სხვადასხვა ტრიგერების მიმართ საინვესტიციო ბაზრის მოძრაობის პარალელურად, მმართველობითი ზომები შეიძლება მოიცავდეს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებას და სხვა დაცვითი ღონისძიებების განხორციელებას. შედეგად, დაშვებებში ცვლილებებს შეიძლება არ ჰქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ ვითარებაში აქტივებისა და ვალდებულებების გაზომვის განსხვავებულმა მეთოდებმა შეიძლება მიგვიყვანოს კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები მგრძნობელობის ანალიზში მოიცავს ჰიპოთეტიური საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც მხოლოდ წარმოადგენს კომპანიის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის იდენტურად შეიცვლება.

**საკრედიტო რისკი** საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელს შეუძლია დროულად შეუსრულოს ან არ შეასრულოს კომპანიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, რაც იწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ჩაწერილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც არის გაუფასურების ზარალის გარეშე, წარმოადგენს კომპანიის მაქსიმალურ საკრედიტო რისკზე. ყველა კლიენტი გადის კლიენტის მიღების პროცედურებს კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და, შედეგად, შეირჩევა მხოლოდ კრედიტუნარიანი კლიენტები. კომპანია ასევე უდგენს საკრედიტო ლიმიტებს თავის მომხმარებლებს.

**ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა ვალდებულების დაფარვას მათი გადახდის ვადის ბოლოს. შემდეგი ცხრილები დეტალურად წარმოადგენს კომპანიის დარჩენილ საკონტრაქტო ვადიანობას გადახდის წინასწარ შეთანხმებული პერიოდით 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადების საფუძველზე კომპანიის მიერ მათი დაფარვის ყველაზე ადრეული თარიღის გათვალისწინებით. ცხრილები მოიცავს როგორც პროცენტის, ასევე ძირითადი თანხის ფულადი სახსრების მოძრაობას.

| 2020 წლის 31 დეკემბერი | 1 თვეზე ნაკლები | 1 - 3 თვე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-5 წელი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| სესხები | 204 | 11,180 | 5,438 | - | **16,822** |
| იჯარის ვალდებულება | 46 | 93 | 427 | 1,815 | **2,381** |
| სავაჭრო და სხვა გადასახდელი დავალიანება | 21,634 | 9 | 37 | - | **21,680** |
| | **21,884** | **11,282** | **5,902** | **1,815** | **40,883** |

| 2019 წლის 31 დეკემბერი | 1 თვეზე ნაკლები | 1 - 3 თვე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-5 წელი | სულ |
|---|---|---|---|---|---|

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სესხები | 3,483 | - | - | - | **3,483** |
| იჯარის ვალდებულება | 9 | 18 | 83 | 415 | **525** |
| სავაჭრო და სხვა გადასახდელი დავალიანება | 17,503 | 6 | 24 | - | **17,533** |
| | **20,995** | **24** | **107** | **415** | **21,541** |

## 16. დაკავშირებული მხარეების გარიგებები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, შვილობილ პირებს და ორგანიზაციებს, რომლებიც იმყოფებიან კომპანიის ან მისი მენეჯმენტის ძირითადი პერსონალის საერთო საკუთრებაში და მათი კონტროლის ქვეშ.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ დადონ გარიგებები, რომლებიც დაუკავშირებელმა მხარეებმა ვერ შეძლონ და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებით, როგორც გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა უბრალოდ სამართლებრივ ფორმაზე. კომპანიას ჰქონდა შემდეგი ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან:

| | 2020 წლის 31 დეკემბერი | | | |
|---|---|---|---|---|
| | მფლობელები | იურ. პირები საერთო კონტროლის ქვეშ | სხვა | სულ |
| გაცემული სესხები | 2,141 | - | - | **2,141** |
| სესხები | - | 5,074 | - | **5,074** |
| შემოსავალი | 1 | 176 | 41 | **218** |
| დისტრიბუციის ხარჯები | - | 66 | - | **66** |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | - | 85 | - | **85** |
| ფინანსური ხარჯი | - | 238 | - | **238** |
| ფინანსური შემოსავალი | - | 56 | - | **56** |
| სხვა შემოსავლები | - | | | |

| | 2019 წლის 31 დეკემბერი | | |
|---|---|---|---|
| | იურ. პირები საერთო კონტროლის ქვეშ | სხვა | სულ |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 42 | 72 | **114** |
| სავაჭრო და სხვა გადასახდელი დავალიანება | 15 | - | **15** |
| შემოსავალი | 182 | 139 | **321** |
| დისტრიბუციის ხარჯები | 60 | - | **60** |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 93 | - | **93** |
| ფინანსური ხარჯი | 5 | - | **5** |
| ფინანსური შემოსავალი | 214 | - | **214** |
| სხვა შემოსავლები | 25 | - | **25** |

ძირითადი მენეჯმენტის პერსონალის ანაზღაურება, რომელიც წარმოდგენილია თანამშრომლების მოკლევადიანი შეღავათებით, 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 4,884 ლარი და 2,647 ლარი, შესაბამისად.

## 17. გაუთვალისწინებელი შემთხვევები და ვალდებულებები

***ვალდებულებები*** - კომპანიას არ გააჩნდა არსებითი ვალდებულებები 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

***სამართლებრივი პროცესები.*** 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოებაში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ წარმოიქმნება არანაირი არსებითი დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნა ჩადებული არანაირი რეზერვი.

***გადასახადები*** –კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებული ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ვინაიდან საგადასახადო კანონმდებლობის მენეჯმენტის ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება გაასაჩივრონ ტრანზაქციები, რის შედეგადაც კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. კომპანიას მიაჩნია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებებში არანაირი რეზერვი არ შექმნილა. 2019-2020 წელი რჩება ღიად საგადასახადო ორგანოების მიერ განსახილველად.

***საოპერაციო გარემო*** - ისეთ განვითარებად ბაზრებზე, როგორიც საქართველოა, მოქმედებენ უფრო განსხვავებული რისკები, ვიდრე უფრო განვითარებულ ბაზრებზე; ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, და სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესზე საქართველოში, მუდმივი და სწრაფი განვითარების პროცესშია, და საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას. საქართველოს ეკონომიკის მომავალ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელდა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც დიდ წილად უკავშირდებოდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გეგმას. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გაუხსნა ამ პროცესს, არსებობს მეტის მოლოდინი, რადგანაც საქართველოს სამოქმედო გეგმა ევროკავშირში გაწევრიანების მიზნით კვლავაც ვითარდება.

***COVID-19*** - გარდა ამისა, 2020 წლის დასაწყისიდან ახალი კორონავირუსული დაავადება (COVID-19) სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში, რის შედეგადაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში გამოაცხადა პანდემიის სტატუსი. მრავალი ქვეყნის მიერ COVID-19– ის გავრცელების შესაჩერებლად მიღებული ზომები იწვევს ბევრი კომპანიის მნიშვნელოვან ოპერაციულ შეფერხებას და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. ვინაიდან ვითარება სწრაფად ვითარდება, მას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მრავალი კომპანიის ბიზნესზე სექტორების ფართო სპექტრში, მათ შორის, მაგრამ შეუზღუდავად, ისეთი ზემოქმედებით, როგორიცაა საქმიანობის შეფერხება წარმოების შეწყვეტის ან ობიექტების დახურვის შედეგად, მიწოდების ჯაჭვის დარღვევები, პერსონალის კარანტინი, შემცირებული მოთხოვნა და სირთულეები დაფინანსების მოზიდვაში. შედეგად, კომპანიას შეიძლება წარმოექმნას COVID-19-ით გამოწვეული სულ უფრო მეტი უარყოფითი შედეგები, გლობალურ ეკონომიკაზე და ძირითად ფინანსურ ბაზრებზე პანდემიის უარყოფითი გავლენის შედეგად.

კომპანიის მენეჯმენტი აკვირდება ეკონომიკური მდგომარეობის მიმდინარე ცვლილებებს და იღებს ზომებს, რომლებიც იგი საჭიროდ ჩათვლის კომპანიის სტაბილურობისა და განვითარების შესანარჩუნებლად უახლოეს მომავალში. თუმცა, COVID-19-ის გავლენის მნიშვნელობა კომპანიის ბიზნესზე დიდ წილად დამოკიდებულია პანდემიური ეფექტების ხანგრძლივობაზე და გავრცელებაზე მსოფლიოსა და ქართულ ეკონომიკაზე. ეკონომიკური გარემოს ცვლილებების გავლენა ოპერაციების მომავალ შედეგებზე და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ამჟამად ძნელი დასადგენია.

**გარანტიები.** 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა დაუფარავი გარანტიები თანხით 29,990 ლარი და 25,990 ლარი. გარანტია აღებულ იქნა კონსიგნაციის პირობებზე მარაგების

შესყიდვისას. გარდა ამისა, ჯი დი აი გამოდის სხვა კომპანიის გარანტად, იმ კომპანიის მიერ აღებული გრძელვადიანი სესხისათვის; გარანტიის საერთო თანხა 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 5,415 და 4,500 ლარი.

## 18. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

2021 წლის იანვარში აქციონერებისათვის გაცემული სესხები 2 141 ლარის ოდენობით ჩაითვალა დეკლარირებული დივიდენდების ანგარიშში.

2021 წლის მაისში კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 842 ლარის ოდენობით 2021 წელს.

გაგრძელდა სს „თიბისი ბანკი"-ს საკრედიტო ხაზი.

## 19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და მისი გამოქვეყნების უფლება გაიცა 2021 წლის 26 აგვისტოს.

შპს ჯი დი აი

მენეჯმენტის ანგარიში

**ორგანიზაციის ბიზნესის განვითარება, შესრულება და მდგომარეობა**

შპს ჯი დი აი („კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2016 წლის 8 ივლისს, რომლის მიზანია განახორციელოს სამომხმარებლო პროდუქციის ლოჯისტიკა, დისტრიბუცია, მომსახურება და ბრენდირება საქართველოში. ის არის თამბაქოს ნაწარმის ერთ-ერთი უმსხვილესი დისტრიბუტორი კომპანია ქართულ ბაზარზე.

კომპანია დაკავებულია ფილიპ მორისის თამბაქოს ნაწარმის დისტრიბუციით. 2020 წელს კომპანიამ გამოუშვა ახალი პროდუქტი - გაცხელებული თამბაქო და ასევე დაიწყო შესაბამისი მოწყობილობების და აქსესუარების გაყიდვა.

კომპანია ქირაობს ცხრა საწყობს სხვადასხვა რეგიონში, სუპერმარკეტების, სასურსათო მაღაზიების, ასევე დიდი ჰიპერმარკეტებისა და საბითუმო მაღაზიების მოსამარაგებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

2020-21 წლები იყო ფუნდამენტური ინოვაციების პერიოდი კომპანიის ბიზნესში - PMI ბრენდის IQOS-ის გამოშვება ქართულ ბაზარზე. პროექტის განხორციელების ფარგლებში ჯი დი აი-მ შექმნა IQOS ბრენდის 10 მაღაზიის ქსელი და სრული სერვისის 8 პარტნიორი პუნქტი თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში.

ბრენდის საცალო განვითარების ინოვაციურმა "OMNI Channel" მიდგომამ უზრუნველყო IQOS-ის ლეგალური ასაკის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა საქართველოში 41 000-მდე პროდუქტის გაშვებიდან. IQOS გაყიდვებს ძლიერ ეხმარება დამხმარე ინსტრუმენტები: განვადება, გაქირავების სერვისი, საერთაშორისო IQOS გარანტია და დისტანციური მომსახურების მიწოდება. IQOS-ის წილის ზრდა ბაზარზე, რომელსაც ხელს უწყობს ეფექტიანი გაყიდვების საფუძვლიანი განვითარება: IQOS მოწყობილობები გაიყიდა 100-ზე მეტ საცალო წერტილში და HEETS-ის დისტრიბუცია ხდება 600-ზე მეტ საცალო წერტილში საქართველოს მასშტაბით.

შედეგად, 2020 წელს კომპანიამ აღრიცხა 508,097 ლარის შემოსავალი (2019: 441,179). მთლიანი მოგების მარჟამ შეადგინა 4.3% (2019: 4.8%).

კომპანიის სტრატეგია ასეთია:

- მუდმივი შედარებითი ანალიზი და ეფექტიანობის გაუმჯობესება თავის ყოველ ბიზნეს ერთეულში.
- ბიზნეს-ანალიტიკის მონაცემები გამოყენება საქმიანობის სამართავად და გასაუმჯობესებლად.
- პროდუქტის შეღწევადობისა და ბაზრის წილის მაღალი დონის შენარჩუნება.

**ორგანიზაციის სამომავლო განვითარების გეგმები;**

2021/2022 წლებში კომპანია იწყებს ბიზნეს-პროცესების მართვის სისტემის დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული პროცედურების ეფექტიანობის ამაღლებას.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი შემდეგია:

| | | 2020 | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|---|
| 1 | SKU–ების რაოდენობა | 115 | 28 | 24 |
| 2 | პერსონალის რაოდენობა | 287 (მათ შორის 87 ქალი) | 210 (მათ შორის 45 ქალი) | 221 (მათ შორის 46 ქალი) |
| 3 | აქტიური მომხმარებლების რაოდენობა | 4.5 ათასი | 4.8 ათასი | 5.7 ათასი |
| 4 | ბაზრის წილი (%) | 38.5 % | 38.5 % | 37.5% |



ინგლისური ენის თარჯიმანი მერაბ თოფურია

**ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ**

2020 წელს კომპანიის მიერ არ განხორციელებულა საკუთარი წილების შეძენა.

**ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მექანიზმების გადახედვა მათი მართვისათვის**

კომპანიის გაყიდვების უმეტესობა ხდება ნაღდი ანგარიშსწორებით, კლიენტების მიერ წინასწარ გადახდით. შესაბამისად, არ არსებობს დებიტორული დავალიანება და მისი რეზერვები.

საკრედიტო პირობები მომწოდებელთან არის 14 დღე. მარაგების შევსების საშუალო პერიოდია 15 და 16 დღე, შესაბამისად, 2020 და 2019 წლებში. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი იყო 0.97 და 1.07, შესაბამისად, 2020 და 2019 წლებში.

**ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვის გათვალისწინებით**

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები უკავშირდება შემდეგს:

| | რისკისა და გაურკვევლობის ახსნა | მენეჯმენტის პასუხი |
|---|---|---|
| 1 | პოლიტიკური რისკები - არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტზე მოთხოვნაზე, შემოსავლებზე და მომგებიანობაზე. | მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა გააკეთოს პოტენციური განვითარების სწორი პროგნოზი და განახორციელოს საჭირო და ადეკვატური ცვლილებები. |
| 2 | COVID 19 რისკი - ბიზნესის შეფერხება წარმოების შეწყვეტის ან ობიექტების დახურვის შედეგად, მიწოდების ჯაჭვის დარღვევა, პერსონალის კარანტინი, შემცირებული მოთხოვნა და სირთულეები დაფინანსების მოძიებაში. | მენეჯმენტი ახორციელებს ყველა ქმედებას და იღებს რეკომენდაციებს ჯანდაცვის ორგანიზაციებისგან, რათა უზრუნველყოს, რომ ბიზნეს ოპერაციებმა დააკმაყოფილოს COVID 19-თან დაკავშირებული კანონის მოთხოვნები და კომპანიამ განაგრძოს მუშაობა. |

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N211078591 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 28.09.2021 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთ ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | დავით ჩალათაშვილი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | თბილისი, სანაპიროს 2ა, #1 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 599336099 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 61520615860221 |

საქართველო/Georgia
მე, ნოტარიუსი დავით ჩალათაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1, ვადასტურებ წინამდებარე დოკუმენტის დიპლომირებული მთარგმნელის, მერაბ თოფურიას (დაბადებული 01.05.1958, მცხოვრები: ქ. თბილისი, ლადო ასათიანის 14, ბინა 5, პარათის ნომერი 19IC24643, პირადი ნომერი: 01015000662, გაცემული თბილისის იუსტიციის სამინისტროს მიერ, დიპლომი Г-1 #172594, გაცემული 1981 წელს ილია ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ) ხელმოწერის სინამდვილეს. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას: გადახდილია სახელმწიფო ბაჟი: 76.00 ლარი, დღგ 13.68 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, და რეგისტრაციის საზღაური 2.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების #507 (29.12.2011წელი) 31-ე მუხლის და 39-ე მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე.
I, notary Davit Chalatashvili, whose notary bureau is located at: Sanapiro 2a, #1, Tbilisi, confirm the authenticity of the signature of a qualified translator Merab TOPOURIA (born on 01.05.1958, res. at apt. 5, #14 Lado Asatiani str., Tbilisi, card number 19IC24643, p/n 01015000662 , issued by the Ministry of Justice, Diploma Г-1 #172594 issued in 1981 by Ilia Chavchavadze State Pedagogical Institute of Foreign Languages). The translator is warned about his responsibility of the accuracy of translation and he guarantees the accuracy of his translation. The notary tax is paid: 76.00 GEL, VAT 13.68 lari pursuant to article 166 of Georgia tax code and 2.00 GEL for drawing up notary act according to the articles 31.3 and paragraph 1 of article 39 of resolution # 507 (29.12. 2011,) of the government of Georgia about notary tax for drawing up notary act and ascertained fees for Notary Chamber, rules of payment and approval of terms of service.
ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
Notary : Davit Chalatashvili

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18